# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

# ბრძანება № 01/20

"05" "07" 2019 წელი

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 56-ე მუხლის „ჟ" ქვეპუნქტისა და 154-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატის დებულება (დანართი N1);

2. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 6 აგვისტოდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (ა.კალანდაძის ქ. N7ა) ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

დანართი N 1

„დამტკიცებულია“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2019 წლის „05.07“ N01/20 ბრძანებით

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატის

# დებულება

## თავი I

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1.

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატი (შემდგომში - აპარატი) არის უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული.

2. კომისიის აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, კომისიის დებულებისა და ამ დებულების შესაბამისად.

## თავი II

## კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებები

**მუხლი 2.**

კომისიის აპარატის ძირითადი ამოცანებია კომისიის წევრებისა და კომისიაში შექმნილი სამუშაო ჯგუფების კანონშემოქმედებითი, საკონტროლო და ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კომისიის საკონტროლო საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეწყობა.

**მუხლი 3 .**

კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომისიის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) კომისიის დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) საერთო კავშირების დამყარების ხელშეწყობა;

დ) აფხაზეთის პრობლემატიკის საერთაშორისო ასპექტების შესწავლა და ანალიზი;

ე) განათლებისა და კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;

ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე ალტერნატიული სწავლების მეთოდიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა;

ზ) ორგანიზებას უწევს კომისიაში მოქალაქეთა მიღებას, კომისიის წევრებთან ერთად განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, აგრეთვე კომისიაში შესულ სხვა კორესპონდენციას;

თ) კომისიის სხდომებზე განსახილველად ამზადებს სათანადო დასკვნებს, წინადადებებს, ცნობებსა და ინფორმაციას;

ი) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების, საკომისიო მოსმენების, სამუშაო ჯგუფების სამუშაო/საკონსულტაციო თათბირებისა და საქმიანი შეხვედრების მომზადებას, უზრუნველყოფს მათი მსვლელობის დადგენილი წესით დაფიქსირებას და მიღებული გადაწყვეტილებების საოქმო გაფორმებას;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს სხვა კომისიებთან, უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან, აგრეთვე კომისიის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ლ) წარმართავს კომისიის საქმისწარმოებას, ამზადებს, აღრიცხავს, დადგენილი წესით ანაწილებს და აგზავნის კომისიაში შემოსულ და კომისიიდან გასულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს საიდუმლო რეჟიმის დაცვას;

მ) ასრულებს კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

**მუხლი 4.**

კომისიის აპარატს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი ფუნქციების შესრულების მიზნით, უფლება აქვს:

ა) კომისიის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია;

ბ) კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შექმნას სამუშაო ჯგუფები კომისიის აპარატის მოხელეების, შრომითი ხელშეკრულებებით მოწვეული

სპეციალისტებისა და მეცნიერ-მუშაკების, აგრეთვე კომისიის აპარატის სტაჟიორების მონაწილეობით;

გ) კომისიის დავალებით, დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულების საფუძველზე დარგის სპეციალისტების მოწვევაში;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს კომისიის აპარატის მოხელეთა მივლინებებს.

## თავი III

## კომისიის აპარატის შემადგენლობა და მართვა

### მუხლი 5

1. კომისიის აპარატის შემადგენლობაში შედიან საშტატო განრიგით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეები.

2. კომისიის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულების რაოდენობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს (გარდა კომისიის აპარატის უფროსისა) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

4. კომისიის აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებია:

ა) აპარატის უფროსი;

ბ) უფროსი სპეციალისტი;

გ) კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე.

6. კომისიის აპარატის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო აღწერილობებით. კომისიის აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც

ახორციელებენ კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით, ამ დებულებითა და სამუშაო აღწერილობით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

**მუხლი 6.**

1. კომისიის აპარატის უფროსი:

ა) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომისიის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს უნაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხს აგებს კომისიის აპარატის მიერ ძირითადი ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის;
ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას;
გ) კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობებს;
დ) უზრუნველყოფს კომისიის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, ამზადებს წინადადებებს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე;
ე) ასრულებს კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, კომისიის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;
ვ) კოორდინაციას უწევს აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ასპექტების შესწავლასა და ანალიზს;
ზ) განათლებისა და კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;
თ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე ალტერნატიული სწავლების მეთოდიკის შემუშავება და მისი დანერგვის ხელშეწყობა.

2. კომისიის აპარატის უფროსი არის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამდებობის პირი.

**მუხლი 7**

უფროსი სპეციალისტი:

ა) ახორციელებს კომისიის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას;

ბ) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, ანალიზსა და განზოგადებაში;

გ) უზრუნველყოფს კანონპროექტების დახვეწას იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით;

დ) ამზადებს დასკვნების პროექტებს კომისიაში განსახილველად შესულ კანონპროექტებზე;

ე) ხელს უწყობს კომისიის მიერ საკონტროლო ფუნქციების განხორციელებას;

ვ) კომისიის აპარატის სახელით პასუხს აგებს კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად გატანილ კანონპროექტებზე, აღნუსხავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

ზ) კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატის კანონშემოქმედებით, კვლევით, ინფორმაციულ და ანალიტიკურ საქმიანობას;

თ) უზრუნველყოფს კომისიის წევრების პლენარული სხდომების მასალებით, აუცილებელი სამართლებრივი, ანალიტიკური ინფორმაციითა და მონაცემებით;

ი) კომისიის აპარატის უფროსის არყოფნის პერიოდში ახორციელებს მის თანამდებობრივ უფლებამოსილებას;

კ) პასუხს აგებს კომისიის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საიდუმლოების დაცვისა და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურად შესრულებისათვის;

ლ) ახორციელებს კომისიის საქმისწარმოებას;

მ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის აპარატის უფროსის სხვა დავალებებს.

**მუხლი 8**

კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე:

ა) ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას;

ბ) მონაწილეობს კანონპროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით ექსპერტების მოწვევასა და მათთან დიალოგში, კომისიის სხდომების ჩატარებასა და დელეგაციების მიღების ორგანიზაციულ ღონისძიებებში;

გ) ასრულებს კომისის თავმჯდომარის დავალებებს;

დ) პასუხს აგებს კომისიის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საიდუმლოების დაცვისა და თანამდებობრივ მოვალეობათა სრული მოცულობით, კვალიფიციურად შესრულებისთვის.

# თავი IV

## დასკვნითი დებულებები

**მუხლი 9.**

1. კომისიის აპარატის დებულებას, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. კომისიის აპარატის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და  უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით  უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3. კომისიის აპარატის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.